



გადახდის ნომერი: **EN742695**

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B14042067**

განცხადების რეგისტრაციის დრო: 15/04/2014 15:48:47

განცხადების ნომერი: 742695

განცხადების მიღების დრო: 15/04/2014 15:41:13

## განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება ( განმცხადებელი: გელა ყიფიანი/01017005738/ ), რომლითაც მოთხოვნილია ახალი სუბიექტის რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი  
დასახელება: განათლების და მეცნიერების პროგრესი

### თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება (პარტნიორთა შეთანხმება)
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- \* ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

მომსახურება: 1 სამუშაო დღის ვადაში 100 + 5\*1 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS-ის საშუალებით. სარეგისტრაციო სამსახურში მომხმარებელმა თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა. ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე **2405405** ან საინფორმაციო ცენტრში **09**. ინფორმაციის მიღება შეიძლება აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე: **www.reestri.gov.ge**

დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ოფიციალურ ვებ-გვერდზე **http://public.reestri.gov.ge**. ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება ან დაგვიკავშირდეთ: **2 405 405; 595 33 71 81;**

ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან.

სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი სახის უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში დაუკავშირდით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურს ტელეფონის ნომერზე **0800900909**





742695

გადახდის ნომერი: EN742695

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: გელა ყიფიანი  
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: 01017005738  
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: თბილისი მმ.ზუბალაშვილების II ჩიხი N 13  
ტელეფონი: 599106263

## განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ ახალი სუბიექტის რეგისტრაცია

სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი  
დასახელება: განათლების და მეცნიერების პროგრესი

გთხოვთ, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად,  
ელ-ფოსტა: [gelakip@gmail.com](mailto:gelakip@gmail.com)

დაარეგისტრირებით, როგორც სუბიექტის იურიდიული მისამართი, რომელზე/რომლებზეც გაგზავნილი  
ელექტრონული შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება (პარტნიორთა შეთანხმება)
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- \* ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

არის თუ არა საწარმოს საქმიანობა დაკავშირებული:

სურსათის /ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან,  
სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგებასთან, საზოგადოებრივ კვების ობიექტთან

მონიშნეთ ერთერთი

☐ დიახ

☒ არა

გთხოვთ უზრუნველყოთ საწარმოს ანგარიშის გახსნა შემდეგ ბანკ(ებ)ში:

☐ პრივატბანკი

☐ TBC ბანკი

☐ ლიბერთი ბანკი

☐ ბანკი კონსტანტა


☐ საქართველოს ბანკი

განაცხადზე ხელმოწერით, გამოვხატავ თანხმობას, რომ ბანკმა ინფორმაცია საწარმოს ანგარიშის გახსნის  
შესახებ მიაწოდოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა: [gelakip@gmail.com](mailto:gelakip@gmail.com)

მომსახურება : 1 სამუშაო დღის ვადაში 100 + 5\*1 ლარი

განმცხადებელი პირი:  / გელა ყიფიანი /





# წესდება – დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება

## მუხლი 1

### ზოგადი დებულებები

- 1.1. „განათლებისა და მეცნიერების პროგრესი“ საზოგადოება წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3. საზოგადოების სახელწოდება: „განათლებისა და მეცნიერების პროგრესი.“ საზოგადოება
- 1.4. სამართლებრივი ფორმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 1.5. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ანაპის 412-ე მსროლელი დივიზიის ქუჩა, № 23დ.
- 1.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.
- 1.7. წელი იწყება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 1.8. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:
  - 1.8.1. „ევროსაბჭოს განათლებისა და მეცნიერების“ კომიტეტებთან თანამშრომლობა.

საქართველო  
საქართველო  
თბილისი  
გ.მ.მ.მ.



- 1.8.2 საინვესტიციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა.
- 1.8.3 შექმნას და განახორციელოს თანამედროვე ტიპის საერთაშორისო სტანდარტის საკონსულტაციო-სასწავლო ცენტრი
- 1.8.4 უზრუნველყოს სასწავლო-სამეცნიერო ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს აბიტურიენტების, ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების მომზადებას
- 1.8.5 უზრუნველყოს კვალიფიციური პერსონალით საკონსულტაციო-სასწავლო პროცესის მობილიზება და ბაზის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას
- 1.8.6 ხელს უწყობს სტუდენტების საზღვარგარეთ გახვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებას
- 1.8.7 საქართველოს საინჟინრო ინტელიგენციის როლის, ინჟინრის პროფესიონალური მომზადების მხარდაჭერა, სტატუსისა და პრესტიჟის ამაღლება და მათი წარდგენა ევროპაში.
- 1.8.8 წვერთა გაცვლითი საერთაშორისო მხარდაჭერა და ინჟინერთა საერთო ინტერესების დაცვა.
- 1.8.9 უმაღლესი ტექნიკური და პროფესიული სტანდარტებით ხელშეწყობა, დახმარება.
- 1.8.10 საერთაშორისო და საზღვარგარეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კავშირების დამყარება და განვითარება.
- 1.8.11 საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის გაუმჯობესებისა და ეკონომიკურ და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.
- 1.8.12 დადგენილი წესით მონაწილეობის მიღება, სახელმწიფო და რეგიონალური პრობლემების შემუშავებასა და რეალიზაციაში, აგრეთვე მონაწილეობა ტექნიკური კომიტეტების და მუშა ჯგუფის მუშაობაში, რომელიც შექმნილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ.
- 1.8.13 საგამომცემლო, საინფორმაციო, სარეკლამო და საგამოფენო საქმიანობის განხორციელება და სხვა მიზნები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობას.
- 1.8.14 ჩაატაროს ტრენინგები “სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში” მენეჯერის მომზადებაში მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით,



კომპიუტერების საოფისე პროგრამებში. ყველა ტრენინგში გასცეს სერტიფიკატი.

- 1.8.15 ჩაატაროს შენობა-ნაგებობებისა და კონსტრუქციების კომპიუტერული მოდელირების და პროექტირების საინჟინრო ექსპერტიზა
- 1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
- 1.10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

## მუხლი 2

### საზოგადოების დამფუძნებლები

- 2.1. საზოგადოების დამფუძნებელია:

გელა ყიფიანი, №0107005738, მცხოვრები: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების II ჩიხი №13, დაბადების თარიღი: 15 იანვარი 1956 წელი. ამბროლაური;



### მუხლი 3

#### საზოგადოების უფლებები

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე საზოგადოებას უფლება აქვს:

- 3.1 წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები სახელმწიფო ორგანოებში, საერთაშორისო და საზღვარგარეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.
- 3.2 გამოვიდეს ინიციატივით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა საჭირო წინადადებების შეტანის მიზნით.
- 3.3 განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა ღონისძიება, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების ძირითადი მიზნების და მიმართულებების რეალიზაციისათვის.
- 3.4 შეიმუშავოს და გამოსცეს რეკომენდაციები და სხვა მეთოდური დოკუმენტები საზოგადოების მიერ პროექტირების და საგანმანათლებლო სამეცნიერო საკითხებზე.
- 3.5 ჩაატაროს ტრენინგები მეცნიერების ყველა მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით.
- 3.6 განახორციელოს გამომცემლობითი, საინფორმაციო და სარეკლამო საქმიანობა. ხელი შეუწყოს საინვესტიციო-საგანმანათლებლო სფეროში მიღწევების და მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას.
- 3.7 ორგანიზება გაუკეთოს კონკურსების ჩატარებას, მოაწყოს გამოფენები, კონფერენციები, სიმპოზიუმები. მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ბაზრობებზე, გამოფენებზე და კონკურსებში.
- 3.8 მიავლინოს საზოგადოების წევრები საზღვარგარეთ ცალკეულ პროგრამების, პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე სტაჟირებისათვის და გამოცდილების გასაზიარებლად საზღვარგარეთის საგანმანათლებლო სამეცნიერო, საპროექტო ფირმებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. უცხოურ პარტნიორებთან ერთად შეიმუშავოს ერთობლივი



პროგრამები, ჩაატაროს პროექტების ექსპერტიზა, ამოცანები, რომლებიც შედის საზოგადოების ინტერესებში.

- 3.9 შექმნას განყოფილებები, პირველადი ორგანიზაციები, ფილიალები და წარმომადგენლები საქართველოს რეგიონებში და საზღვარგარეთ. აგრეთვე სხვადასხვა ფონდები საზოგადოების წესდების მიზნებიდან გამომდინარე.
- 3.10 შექმნას სამეურნეო ორგანიზაციები ან საწარმოები, მათ შორის ერთობლივი საწარმოები საზღვარგარეთის ფირმებთან და ორგანიზაციებთან.
- 3.11 დადგენილი წესით შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში, საგანმანათლებლო სამეცნიერო დარგების სფეროში საზოგადოების წევრებისათვის საპატიო წოდების მინიჭების თაობაზე, რეკომენდაცია გაუწიოს საზოგადოების წევრებს სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის მოპოვებისათვის, დამოუკიდებლად წახალისოს საზოგადოების წევრები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანა მიზნების გადაწყვეტილებაში.
- 3.12 განიხილოს სადავო საკითხები საზოგადოების წევრებს შორის წარმოქმნისას.
- 3.13 განიხილოს საზოგადოების წევრების მიერ წესდების დებულებების და პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.
- 3.14 საზოგადოება მთელი მოცულობით ღებულობს იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

## მუხლი 4

### საზოგადოების მართვა

- 4.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს საზოგადოების საერთო კრება;
- 4.1.1. საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს:
- მმართველ საბჭოს, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების სრუქტურის ცენტრალურ ორგანოს - ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ ორგანოს;
  - აღმასრულებელი საბჭო - შიდა ორგანიზაციული საკითხების შესასრულებლად;



– პირველადი ორგანიზაციები, განყოფილებები, ფილიალები და წარმომადგენლები – ორგანიზაციის ქვედანაყოფები, რომლებიც არ წარმომადგენენ ცალკე იურიდიულ პირებს;

– საზოგადოების დირექცია;

– სარევიზიო კომისია;

4.1.2. საზოგადოების წევრთა საერთო კრება ტარდება 3(სამი) წელიწადში ერთხელ.

4.1.3. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საზოგადოების მოწვეული წევრთა ნახევარზე მეტი.

4.1.4. კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ყველა წევრს.

4.1.5. საზოგადოების საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება მიენიჭოს საზოგადოების წევრთა ჯგუფების მიერ წევრთა შემადგენლობიდან არჩეულ წარმომადგენლებს.

4.1.6. საზოგადოების საერთო კრების წევრების მოწვევა ხდება მართველი საბჭოს მიერ. კრებაზე წევრები მოიწვევიან როგორც ჩვეულებრივი, ასევე დაზღვეული წერილის მეშვეობით. საზოგადოების საერთო კრების ჩატარებამდე 2(ორი) კვირით ადრე თითოეული წევრის მისამართით გაგზავნილ მოსაწვევს თან ერთვის აღვნიშვნა კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ.

4.1.7. საზოგადოების საერთო კრებას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, მისი არ ყოფნისას ვიცე პრეზიდენტი.

4.1.8. კრება გადაწყვეტილებას იღებს ცალკეულ საკითხებზე დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გადაწყვეტილება წესდებისა და მიზნების ცვლილებისას დამსწრეთა 2/3-ის, ხოლო საზოგადოების პრეზიდენტის გამოწვევის თაობაზე მიიღება საზოგადოების საერთო წევრთა 2/3-ის (75%-მეტი ხმით) მიერ. საზოგადოების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საზოგადოების საერთო კრების მიერ, საზოგადოების საერთო წევრთა (100% ხმით) ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

4.1.9. საზოგადოების კრების მონაწილე ყოველ წევრს გააჩნია ერთი ხმა.

4.1.10. რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეული იქნას: საზოგადოების პრეზიდენტის, მმართველი საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოს ან წევრთა ერთი მესამედის მიერ, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, 30(ოცდაათი) დღის ვადაში, განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას.



4.1.11. საერთო კრების საოქმო ჩანაწერი უნდა შეიცავდეს მონაცემებს კრების ჩატარების ადგილს, დღისა და მონაწილეობის შესახებ, ასევე კრებაზე გამოთქმულ აზრთა არსებით შინაარსის შესახებ. ჩანაწერს ხელს აწერს საზოგადოების პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად ითვლება საერთო კრების თავმჯდომარედ და ასევე მდივანი.

4.2. საზოგადოების საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება:

4.2.1. საზოგადოების წესდების დამტკიცება. წესდებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა;

4.2.2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა

4.2.3. საზოგადოების პრეზიდენტის 25(ოცდახუთი) წლის ვადით არჩევა და გამოწვევა, ანგარიშის მოსმენა.

4.2.4. საზოგადოების პრეზიდენტის წარდგინებით წევრთა შემადგენლობიდან მმართველი საბჭოს, სარევიზიო კომისიის და მდივნის, 3(სამი) წლის ვადით არჩევა და გამოწვევა, მათი ანგარიშების მოსმენა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

4.2.5. საწევრო გადასახადის დადგენა და დამტკიცება;

4.2.6. წლიური შედეგების დამტკიცება;

4.2.7. წლიური ბიუჯეტის განსაზღვრა და დამტკიცება;

4.2.8. საერთო კრებებს შორის პერიოდში, შეიძლება მოწვეული იქნას კონფერენციები საზოგადოების საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებისათვის, რომელთა გადაწყვეტილებებში ასახული უნდა იქნას საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების პრაქტიკული მუშაობის შესახებ.

## მუხლი 5

### საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

5.1. საზოგადოების მმართველი საბჭო:

5.1.1. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოა მმართველი საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ წევრთა შემადგენლობიდან 3(სამი) წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.



- 5.1.2. მმართველი საბჭო ამზადებს და საერთო კრებაზე განსახილველად შეაქვს საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხები;
- 5.1.3. განსაზღვრავს საზოგადოების საწევრო შენატანების გადახდის რაოდენობას და წესს;
- 5.1.4. ახორციელებს საზოგადოების წევრთა მიღებას და გარიცხვას;
- 5.1.5. საზოგადოების პრეზიდენტის წარდგინებით მმართველი საბჭო ხმათა უმრავლესობით ირჩევს საზოგადოების ვიცე პრეზიდენტს.
- 5.1.6. განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების აღმასრულებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს მათ შესრულებაზე.
- 5.1.7. ამტკიცებს საზოგადოების საქმიანობის მიმართულებათა კომიტეტებს.
- 5.1.8. იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების საწესდებო საქმიანობის სხვა საკითხებზე, რომელიც არ განეკუთვნება საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციას.
- 5.1.9. უზრუნველყოფს საზოგადოების საერთო კრების ჩატარებას და მისი გადაწყვეტილების შესრულებას.
- 5.1.10. ღებულობს გადაწყვეტილებას განყოფილებების, პირველადი ორგანიზაციების, ფილიალების და წარმომადგენლების შექმნის შესახებ, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;
- 5.1.11. ამტკიცებს საზოგადოების პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ ფილიალების, წარმომადგენლების, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი დირექტორის, განყოფილებების, და პირველადი ორგანიზაციების დირექტორებს, აპარატის წევრებს, კომიტეტების და ბეჭდვითი ორგანოს ხელმძღვანელების კანდიდატურებს 3(სამი) წლის ვადით, კონტრაქტის პირობებით;
- 5.1.12. მმართველი საბჭოს წევრებია:
- გელა ყიფიანი, №01017005738 ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების II ჩიხი №13, 15 იანვარი 1956 წელი. ქ. ამბროლაური; (საზოგადოების პრეზიდენტი)
  - დავით ყიფიანი, №01017031905 ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების II ჩიხი №13, 22 აგვისტო 1962 წელი, ქ. ამბროლაური. (საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი)
  - ირმა გოგოლაძე, №01007013578 ქ. თბილისი, გლდანის VII მიკრორაიონი, მე-17<sup>ა</sup> კორპუსი, ბინა 19, 28 ოქტომბერი 1967 წელი, ქ. თბილისი.



- მაღხაზ ნიკოლაძე, №01024050222 ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას 6, ბინა №10, 7 აგვისტო 1958 წელი, ქ. თბილისი;
- ამირან აფციაური, № 60001006066 ქ. ქუთაისი, თავისუფლების №12, 28.06.1954 წელი, თეთრიწყარო.

## 5.2. საზოგადოების აღმასრულებელი საბჭო:

5.2.1. აღმასრულებელი საბჭო წარმოადგენს მმართველი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასევე შიდა ორგანიზაციული საკითხების შემსრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს, საფინანსო კონტროლს დირექციის საქმიანობასთან დაკავშირებით;

5.2.2. აღმასრულებელი საბჭო შედგება საზოგადოების პრეზიდენტის წარდგინებით და მმართველი საბჭოს მიერ წევრთა შემადგენლობიდან 3(სამი) წლის ვადით დამტკიცებული წევრები;

5.2.3. საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3(სამი) თვეში ერთხელ. აღმასრულებელი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომის დღის წესრიგითა და საჭირო ინფორმაციით საბჭოს წევრებს უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი;

5.2.4. აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საზოგადოების პრეზიდენტი, რომელიც იმავროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას სხდომას უძღვება ვიცე პრეზიდენტი.

5.2.5. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს (პრეზიდენტის) თავმჯდომარის ხმა.

5.2.6. ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმიანობას საერთო კრებებსა და მმართველი საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში და მოქმედებს მათი სახელით საკითხების გადაწყვეტაში, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების საერთო კრებისა და მმართველი საბჭოს კომპეტენციას.

5.2.7. იღებს პასუხისმგებლობას საზოგადოების ადმინისტრირებაზე, მართვაზე, პოლიტიკის გატარებაზე და საზოგადოების გადაწყვეტილებებზე.



5.2.8. ამზადებს ძირითადი მიზნების, საქმიანობის მიმართულებებისა და ბიუჯეტის პროექტებს, მიმდინარე პერიოდისათვის და მათი საზოგადოების საერთო კრების მიერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, უზრუნველყოფს მათ შესრულებას.

5.2.9. ახორციელებს კონტროლს საზოგადოების კომიტეტების და მუშა ჯგუფების საქმიანობაზე, ქმნის დროებით ჯგუფებს;

5.2.10. ამტკიცებს საზოგადოების მუშა ორგანოების სტრუქტურას და ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების საერთო კონტროლს;

5.2.11. ამტკიცებს საზოგადოების მიზნობრივ პროგრამებს და მათი ფინანსირების მოცულობას;

5.2.12. ღებულობს გადაწყვეტილებას სპეციალური ფონდების, საკუთარი სამეურნეო საზოგადოების და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის ხარჯების შექმნაზე;

5.2.13. ქმნის აღმასრულებელ ორგანოს (დაქირავების წესით), საზოგადოების ღირექციას საშტატო ერთეულებით და აკონტროლებს მათ საქმიანობას;

5.2.14. იხილავს საზოგადოების წევრების მიერ, პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევებს.

5.3. საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

5.3.1. საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია საზოგადოების პრეზიდენტი;

5.3.2. საზოგადოების პრეზიდენტი ერთპიროვნულად ახორციელებს ხელმძღვანელობით წარმომადგენლობას, ხოლო ვიცე პრეზიდენტი, საზოგადოების პრეზიდენტის არ ყოფნის ან ფუნქციების შეუსრულებლობის შემთხვევაში ასრულებს მის ფუნქციებს, საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი შედის ასევე მმართველი საბჭოს შემადგენლობაში.

5.3.3. წარმართავს საზოგადოების საქმიანობას საწესდებო მიზნების შესასრულებლად;

5.3.4. წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობებში;

5.3.5. ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ დოკუმენტებს;



- 5.3.6. საზოგადოების საერთო კრებას ასარჩევად წარუდგენს მმართველი საბჭოს, სარევიზიო კომისიის და მდივნის წევრების კანდიდატურებს,
- 5.3.7. მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი დირექტორის, განყოფილებების, წარმომადგენლების, ფილიალების და პირველადი ორგანიზაციების დირექტორების, აპარატის წევრების, კომიტეტების და ბეჭდვითი ორგანოს ხელმძღვანელების კანდიდატურებს 3(სამი) წლის ვადით, კონტრაქტის პირობებით;
- 5.3.8. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით მინიჭებულ უფლებებს;
- 5.3.9. საზოგადოების პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში, მმართველი საბჭო დაუყონებლივ იწვევს საზოგადოების საერთო კრებას, რომელიც ირჩევს ახალ პრეზიდენტს, ხოლო მის მიერ მოვალეობის შესრულების დროებით შეუსრულებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს, ასრულებს საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი;
- 5.3.10. პრეზიდენტის გაწვევა მის მიერ უფლებამოსილების გადამეტების და მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუძლია საზოგადოების საერთო კრებას;
- 5.3.11. საზოგადოების მმართველ საბჭოს ხელმძღვანელობს საზოგადოების მინდობილების გარეშე;
- 5.3.12. თავმჯდომარეობს საზოგადოების მმართველი საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს, ხელმძღვანელობს სხდომის ოქმის გაფორმებას და ხელს აწერს მათ.
- 5.3.13. აწესრიგებს საზოგადოების მართვას მართველი საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოს და აღმასრულებელი დირექციის საშუალებით და ანაწილებს მოვალეობებს თავის მოადგილეებსა და საბჭოს წევრებს შორის.
- 5.3.14. ამტკიცებს მმართველი საბჭოს მუშა ორგანოების საშტატო განრიგებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას;
- 5.3.15. ამტკიცებს საზოგადოების შინაგაწესს და ღებულობს გადაწყვეტილებებს მუშაკების წახალისებისა და დასჯის შესახებ;



საზოგადოების პრეზიდენტი:

– გელა ყიფიანი, №01017005738 ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების II ჩიხი №13, 15 იანვარი 1956 წელი. ქ. ამბროლაური; (საზოგადოების პრეზიდენტი)

საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი:

– დავით ყიფიანი, №01017031905 ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების II ჩიხი №13, 22 აგვისტო 1962 წელი, ქ. ამბროლაური. (საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი)

5.4. საზოგადოების დირექცია:

5.4.1. საზოგადოების დირექციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს, მისი კომპეტენციის ფარგლებში აღმასრულებელი დირექტორი.

5.4.2. უზრუნველყოფს მმართველი საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებას, სამეწარმეო საქმიანობის შესრულებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და საწესდებო დებულების შესრულებას;

5.4.3. ახორციელებს საზოგადოების საფინანსო საქმიანობის ბუღალტრულ აღრიცხვას;

5.4.4. დირექცია შედგება 7 (შვიდი) დირექტორებისაგან, დირექტორები ხელმძღვანელობენ ორგანიზაციის სხვადასხვა რეგიონში სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობას მათზე დაკისრებული ფუნქციის ფარგლებში ახორციელებენ დამოუკიდებლად ცალცალკე.

5.5. აღმასრულებელი დირექტორი და საზოგადოების სხვა დირექტორები:

5.5.1 საზოგადოების სახელით მინდობილობის გარეშე აფორმებს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და სხვა გარიგებებს ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, ხსნის ბანკებში მიმდინარე და სპეციალურ ანგარიშებს, ასრულებს მათი საშუალებით ყველანაირ ანგარიშსწორებებს. ახორციელებს სხვა უფლებებს, რაც გათვალისწინებულია კონტრაქტით;

5.5.2. ღებულობს პერსონალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების მმართველ საბჭოსა და აღმასრულებელ საბჭოს წინაშე, დირექციის საქმიანობაზე;



5.5.3. კოორდინაციას უწევს საზოგადოების ცენტრალურ ორგანოში შექმნილ საორგანიზაციო სტრუქტურებს;

5.5.4. ამზადებს ხარჯთაღრიცხვას და სხვა დოკუმენტებს ხარჯების განსახორციელებლად და წარმოადგენს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად;

5.5.5. ორგანიზაციას უწევს მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და ახორციელებს მათ ფინანსირებას;

5.5.6. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საზოგადოებას სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ, საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

5.5.7. ამზადებს წინადადებებს საზოგადოების საწარმო-სამეურნეო, საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარებისათვის და წარმოადგენს საზოგადოებას აღმასრულებელ საბჭოში;

5.6. სარევიზიო კომისია:

5.6.1 ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია.

სარევიზიო კომისიას საზოგადოების პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საზოგადოების საერთო კრება, 3(სამი) წლის ვადით, ხოლო რეგიონალურ განყოფილებებში, განყოფილების კრება. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყოს მმართველი საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოს და საზოგადოების დირექციის წევრები;

5.6.2. სარევიზიო კომისიის მიერ რევიზია ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ. დამატებითი შემოწმებები შეიძლება შესრულდეს მმართველი საბჭოს ან აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით;

5.6.3. საზოგადოების წევრები ან თანამშრომლები ვალდებული არიან სარევიზიო კომისიის ან აუდიტორული კომპანიის მოთხოვნისას წარადგინონ დოკუმენტები ან წერილობითი განმარტებები;

5.6.4 სარევიზიო კომისია შემოწმების შედეგებს წარუდგენს საზოგადოების საერთო კრებას ან მმართველ საბჭოს;



5.6.5. სარევიზიო კომისია ამზადებს წლიურ ანგარიშებს და ბალანსის მდგომარეობის დასკვნებს. სარევიზიო კომისიის გარეშე საზოგადოების საერთო კრებას და კრებებს შორის პერიოდში მმართველ საბჭოს არ აქვს უფლება დაამტკიცოს ბალანსი და წლიური ანგარიში;

5.6.6. სარევიზიო კომისიის თამჯდომარეს ირჩევს კომისია სამი წლის ვადით;

5.6.7. სარევიზიო კომისია დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის რეგლამენტს, თამჯდომარის არჩევის პროცედურას;

5.6.8. სარევიზიო კომისია თავის გადაწყვეტილებებს აფორმებს ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თამჯდომარე;

## 5.7. საზოგადოების განყოფილებები და პირველადი ორგანიზაციები

5.7.1. საზოგადოების განყოფილებები და პირველადი ორგანიზაციები წარმოადგენენ საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას;

5.7.2. საზოგადოების საერთო კრების, მმართველი საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა საზოგადოების განყოფილებებისათვის და პირველადი ორგანიზაციებისათვის;

5.7.3. საზოგადოების განყოფილებებისა და პირველადი ორგანიზაციების ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების მიზნები, ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით;

5.7.4. განყოფილებები და პირველადი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ საწესდებო დებულების რეალიზაციაში. საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებში წარადგენენ განსახილველად წინადადებებს, თავისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების გეგმებს და პროგრამებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის;

5.7.5. განყოფილებები და პირველადი ორგანიზაციები ყოველ წელიწადს წარადგენენ აღმასრულებელ საბჭოში ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ;

5.7.6. განყოფილებების და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საზოგადოების პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს მმართველი საბჭო 3(სამი) წლის ვადით;

## 5.8. ქონება. საზოგადოების ქონების წამოქმნის წყაროები



- 5.8.1. საზოგადოების წევრთა შენატანები და ნებაყოფლობითი შეწირულობები;
- 5.8.2. საწევრო გადასახადი;
- 5.8.3. შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან და საზოგადოების მიერ შექმნილი საწარმოებიდან, სხვა სამეურნეო ორგანიზაციებიდან;
- 5.8.4. მიზნობრივი გადარიცხვები სახელმწიფო, საზოგადოებრივი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან;
- 5.8.5. შემოსავლები საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენატანები;
- 5.8.6. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;
- 5.8.9. საზოგადოების ფულადი სახსრები მიმართულია საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის, მიზნობრივი პროგრამების ფინანსირებისათვის, სასწავლო და საგამომცემლო საქმიანობის და სხვა ამოცანების ფინანსირებისათვის;
- 5.8.10. საზოგადოება აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას და სტატისტიკურ ინფორმაციას და წარადგენს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით;

## მუხლი 6

### საზოგადოების წევრობა

6.1. საზოგადოების წევრად მიღება ხდება: საზოგადოების მმართველი საბჭოს მიერ, ხოლო რეგიონალური განყოფილების წევრების არჩევა შესაბამისი რეგიონის დირექტორის წინაშე წარადგენს წერილობით მოთხოვნას წევრად მიღებაზე, გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი რეგიონის დირექტორი (იგივე აღმასრულებელი საბჭოს წევრი) მმართველი საბჭოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. (პირველადი ორგანიზაცია) მიერ, საზოგადოების სამი წევრის წერილობითი რეკომენდაციისა და მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე. წევრობა შეადგენს ინდივიდუალურს და კოლექტიურს. ინდივიდუალური წევრი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც შესრულებული აქვს 18 წელი, იზიარებს საზოგადოების წესდებისა და „პროფესიურ ეთიკისა და წესების კოდექსის“ მოთხოვნებს.



6.1.1. ინდივიდუალურ წევრს შეიძლება გააჩნდეს შემდეგი სტატუსი:

- წევრი
- უმცროსი წევრი
- საპატიო წევრი

6.1.2. წევრი – ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია ინჟინრის კვალიფიკაციის უმაღლესი განათლება და მიღებული აქვს სათანადო საინჟინრო გამოცდილება.

6.1.3. უმცროსი წევრი – საინჟინრო სპეციალობის სტუდენტები.

6.1.4. საპატიო წევრი – ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მიღწევები საინჟინრო სფეროში და სამეცნიერო ხელოვნებაში.

6.2. კოლექტიური წევრები შეიძლება იყოს:

6.2.1. პროფესიონალურ ინჟინერთა ასოციაციები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის ორგანიზაციები, საზოგადოებები, რომლებსაც სურვილი გააჩნიათ ითანამშრომლონ აღნიშნულ საზოგადოებასთან ერთად, საზოგადოების წესდების შესაბამისად.

6.2.2. კოლექტიური წევრები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

6.2.3. საზოგადოების წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც მემკვიდრეობით გადადის.

6.4. საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ:

6.4.1. მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში.

6.4.2. მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

6.4.3. აირჩიონ და არჩეული იქნან საზოგადოების ხელმძღვანელ და საკონტროლო ორგანოებში (გარდა უმცროსი წევრისა).

6.4.4. მიიღონ მეთოდური და ორგანიზაციული დახმარება, საზოგადოების წევრების მიერ შემუშავებული პროექტების რეალიზაციისათვის.

6.4.5. ისარგებლონ შეღავათიანი მომსახურებით საზოგადოების მიერ შექმნილ ორგანიზაციებიდან, მატერიალურ-ტექნიკური და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბაზებით, მატერიალური დახმარებით.



6.4.6. მიიღონ საზოგადოებიდან კონსულტაციები და სხვა თანადგომა, მათ მიერ შემუშავებულ წინადადებებზე.

6.4.7. გამოაქვეყნონ მასალები საზოგადოების გამომცემლობებში.

6.4.8. ნებაყოფლობით გავიდნენ საზოგადოების წევრობიდან.

## 6.5. საზოგადოების წევრებს ევალებათ

6.5.1 დაიცვან ამ წესდების მოთხოვნები და შეასრულონ საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები.

6.5.2 დაიცვან „პროფესიულ ეთიკისა და წესების კოდექსის“ ნორმები, საზოგადოების საქმიანობისათვის დადგენილი დებულებების, წესების და სხვა ორგანიზაციულ-განკარგულებითი დოკუმენტაციის მოთხოვნები.

6.5.3. პასუხი აგონ საზოგადოების ზიანის მიყენებაზე, თუ ის გამოწვეულია მათი მიზეზით.

6.5.4. მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში და დაეხმაროს საზოგადოებას მიზნების განხორციელებაში.

6.5.5 მიიღონ პროფესიული ცოდნის უწყვეტი განათლება.

6.5.6. გადაიხადოს საწევრო გადასახადი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, არა უგვიანეს 30 ივლისის.

6.5.7. კოლექტიურ წევრებს გააჩნია იგივე უფლებები და ვალდებულებები, როგორც ინდივიდუალურ წევრებს.

6.5.8. კოლექტიური წევრები იხდიან ყოველ წლიურ საწევრო გადასახადებს.

6.5.9. საწევრო გადასახადის განაკვეთს ადგენს საზოგადოების საერთო კრება.

## 6.6. საწევრო გადასახადიდან გათავისუფლებულია შემდეგი წევრები:

- უმცროსი წევრები
- საპატიო წევრები
- უმუშევარი პენსიონერები
- დეკრეტში მყოფი მშობლები

წევრები საწევრო გადასახადიდან გათავისუფლდება წარმოდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე.



## 6.7 წევრების გარიცხვა

წევრები შეიძლება გარიცხული იქნან საზოგადოების წევრობიდან მმართველი საბჭოს მიერ, შემდეგი გარემოებების გამო:

- საზოგადოების რეპუტაციის გაუარებისას.
- საზოგადოების წესდების მოთხოვნების და ინჟინრის „პროფესიულ ეთიკისა და წესების კოდექს“ დაუცველობისას.
- მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის გადაუხდელობისას.

## მუხლი 7

### საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

- 7.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად.
- 7.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
- 7.4. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
- 7.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის



დამფუძნებლები/წევრები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

- ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
- ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
- გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

7.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

7.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

7.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

7.9 საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, საზოგადოების საერთო კრება, საზოგადოების საერთო წევრთა (100% ხმით) ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.



დასკვნითი დებულებები

- 8.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 8.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
- 8.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.
- საზოგადოების ელექტრო-ფოსტა: [gelakip@gmail.com](mailto:gelakip@gmail.com); [gelakip@mail.ru](mailto:gelakip@mail.ru)

გელა ყიფიანი

(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)

/ გელა ყიფიანი /

გელა ყიფიანი

(მმართველი საბჭოს/წევრის სახელი, გვარი)

/ გელა ყიფიანი /

დავით ყიფიანი

(მმართველი საბჭოს /წევრის სახელი, გვარი)

/ დავით ყიფიანი /

ირმა გოგოლაძე

(მმართველი საბჭოს/წევრის სახელი, გვარი)

/ ირმა გოგოლაძე /

მალხაზ ნიკოლაძე

(მმართველი საბჭოს/წევრის სახელი, გვარი)

/ მალხაზ ნიკოლაძე /

ამირან აფციაური

(მმართველი საბჭოს/წევრის სახელი, გვარი)

/ \_\_\_\_\_ /







მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.12.04.001.044**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882014174434 - 03/04/2014 11:55:25

მომზადების თარიღი  
10/04/2014 17:55:57

### საკუთრების განყოფილება

ზონა თბილისი	სექტორი ნაძალადევი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 600.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 1/31; 1/36; 01.12.04.001.036;
01	12	04	001/044	

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ანაპის 412-ე  
მსროლელის დივიზია, N 23დ

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010547223 , თარიღი 01/04/2010 10:06:28  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/04/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება NM14001486/3 , დამოწმების თარიღი: 21/03/2014 , სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სანოტარო წესით 2006 წლის 28 აპრილს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გამიჯვნით (რეესტრის N1/2142; ნოტარიუსი ა. მამისაშვილი).

მესაკუთრები:

გელა ყიფიანი , P/N: 01017005738

მესაკუთრე:

გელა ყიფიანი

აღწერა:

### იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება


ყაღალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის





პირადი ნომერი	01017005738
სახელი	გელა
მამის სახელი	ოთარი
გვარი	ყიფიანი
დაბადების თარიღი	1956-01-15T00:00:00
დაბადების ადგილი	საქართველო, ამბროლაური
მისამართი	თბილისი ძმ.ზუბალაშვილების II ჩიხი N 13
პირადობის მოწმობის სერია	გ0088505
მოწმობის გამცემი ორგანო	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახური
გაცემის თარიღი	1995-12-27T00:00:00
მოქმედების ვადა	2015-12-27T00:00:00
მოქალაქეობა	საქართველო
რეგ. თარიღი	1995-12-27T00:00:00
სტატუსი	აქტიური
ფოტოები	<u>ფოტო #1</u>





პირადი ნომერი	01017031905
სახელი	დავით
მამის სახელი	ოთარი
გვარძ	ყიფიანი
დაბადების თარიღი	1962-08-22T00:00:00
დაბადების ადგილი	საქართველო, ამბროლაური
მისამართი	თბილისი ძმ.ზუბალაშვილების II ჩიხი N 13
პირადობის მოწმობის სერია	ა0651947
მოწმობის გამცემი ორგანო	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახური
გაცემის თარიღი	2005-03-21T00:00:00
მოქმედების ვადა	2025-03-21T00:00:00
მოქალაქეობა	საქართველო
რეგ. თარიღი	2005-03-21T00:00:00
სტატუსი	აქტიური
ფოტოები	<u>ფოტო #1</u>





პირადი ნომერი

01007013578

სახელი

ირმა

მამის სახელი

იონა

გვარძ

გოგოლაძე

დაბადების თარიღი

1967-10-28T00:00:00

დაბადების ადგილი

საქართველო, თბილისი

მისამართი

თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 17ა  
ბ. 19

პირადობის მოწმობის სერია

13ID17125

მოწმობის გამცემი ორგანო

იუსტიციის სამინისტრო

გაცემის თარიღი

2014-01-14T00:00:00

მოქმედების ვადა

2024-01-14T00:00:00

მოქალაქეობა

საქართველო

რეგ. თარიღი

2005-07-04T00:00:00

სტატუსი

აქტიური

ფოტოები

ფოტო #1



